

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზვიად გოჩაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	0	5
ქულათა ჯამი	89	100

სახელი, გვარი: **ლევანი თევზაძე**
თარიღი: **16.09.2024**





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევანი თევზაძე

2024 წლის 16 სექტემბერი

თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ზვიად გოჩაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ზვიად გოჩაშვილი**.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 2 სექტემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^ე მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 49 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, 1996 წელი). სპეციალობით მუშაობს 26 წელია, კერძოდ:

- 1996 წლის დეკემბერი - 1997 წლის მაისი - სისხლის სამართლის კოლეგიის სხდომის მდივანი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო;
- 1999 წლის ივლისი - 2005 წლის ოქტომბერი - სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე - ქუთაისის საოლქო სასამართლო;
- 2006 წლის მარტი - 2023 წლის ივლისი - სასამართლო სხდომის მდივანი, მოსამართლის თანაშემწე - ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატ ზვიად გოჩაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე სახის ინფორმაცია. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია (მცირედი ჯარიმებით). კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: საცხოვრებელი ბინის მანსარდა, 117.04 მ² ფართით, ქ. ქუთაისი; საცხოვრებელი ბინა, 127.3 მ² ფართით, ქ.

ქუთაისი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი ერთ შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის, ჯარიმა გადახდილია დროულად. ასევე - ერთ შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, აღნიშნული ჯარიმა ასევე გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ ზვიად გოჩაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

ზვიად გოჩაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/16
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 9.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ზვიად გოჩაშვილს ადმინისტრაციულ სამართალში სწრაფად შეეძლო საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა, უმეტესად ლოგიკურად მსჯელობდა და იღებდა ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. რეკომენდირებულია მან იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკური საკითხების უფრო სიღრმისეულ შესწავლაზე, რაც მას გამოადგება პრაქტიკულ საქმიანობაში. სამოქალაქო სამართალიში სტაჟირების მიმდინარეობისას წარმოაჩინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა კონკრეტული სპეციალიზაციის, სპეციფიკის გათვალისწინებით. სემინარული მუშაობისას პრაქტიკული დავალებები შეასრულა სათანადოდ და მაღალკვალიფიციურად, გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე. აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და არაგადაჭარბებული. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტებში აზრი ყოველთვის სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. სისხლის სამართალში კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას და სემინარული მუშაობის ეტაპზე, საკითხის განხილვისას ყოველთვის ჰქონდა დასაბუთებული პასუხი კითხვებზე. კარგად

იყენებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში, კერძოდ, სემინარული მუშაობისას კაზუსების გარჩევისას. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

ზვიად გოჩაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „განაჩენის დასაბუთება, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და დასაბუთება, ნასამართლობის მოხსნა“, „ეფექტური კომუნიკაცია და კომუნიკაციის სტანდარტები“, „ვიბერდანამაშულთან დაკავშირებულ საქმეთა (ეფექტიანი) განხილვა“ და ა.შ.).

ზვიად გოჩაშვილს გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი, 2003 წელს ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; თუმცა, გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები მის მიერ გაცემულ პასუხებში, კერძოდ: არასრულად ისაუბრა საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან და განხილვის ვადებთან დაკავშირებით, ასევე - უზრუნველყოფის ღონისძიებებზე ადმინისტრაციულ სამართალში.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დაპოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

კანდიდატს, როგორც მოქალაქეს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალი განცდა, კეთილსინდისიერება, წესიერება, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას).

შესაბამისად, მივიჩნე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის სამართლიანი და პრინციპული პიროვნება, არ ექცევა რაიმე ზეგავლენის ქვეშ, აქვს უნარი გადაწყვეტილება მიიღოს სიღრმისეული განსჯის შედეგად, მიკერძოებისა და წინასწარი განწყობის გარეშე.

შესაბამისად მივიჩნე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი კოლეგებთან, მხარეებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული, თავდაჭერილი, გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატი სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, გამორჩეულია თავისი მორალური და საქმიანი რეპუტაციით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი

ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნევ, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი ზვიად გოჩაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე 23 ქულით (მაქსიმალური -25);

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი, აქვს საკმარისი კომპეტენცია გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღოს საქმის სპეციფიკური გარემოებები და ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია იმისთვის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იყოს კანონიერი და სამართლიანი.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 24 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატის

გადაწყვეტილებების საპროცესო დოკუმენტების პროექტები შესრულებული იყო ძალიან კარგად და ძირითადად მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა, სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს. კანდიდატი ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს, მსჯელობისას შეუძლია გამოყოს მნიშვნელოვანი გარემოებები, გააკეთოს ისეთი დასკვნა, რაც აადვილებს აზრის აღქმას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე, მიზანდასახული, შესწევს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი და შეუძლია ორგანიზაციულ საკითხებზე სწრაფი, შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატის მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული წვრთნის არაერთ პროგრამაში და ზრუნავს თვითგანვითარებაზე. აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 0 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით,
საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 89 ქულას.



ლევანი თევზაძე